საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს რკინიგზა

2023

01.03.2024
www.geostat.ge

01.03.2024

სარკინიგზო ტრანსპორტის ძირითადი მაჩვენებლები
(2023 წელი)

საქართველოს რკინიგზის ხაზების მთლიანი სიგრძე 2023 წლის ბოლოსათვის 2 401.3 კილომეტრს შეადგენდა[1], საიდანაც ელექტროფიცირებული იყო 98.4 პროცენტი. რკინიგზის ლიანდაგების გაშლილი სიგრძე იყო 1 939.2 კილომეტრი, რომლის 42.7 პროცენტი მთავარი ხაზების სიგრძეა, 30.1 პროცენტი - განშტოებების სიგრძე, 24.3 პროცენტი სადგურის ლიანდაგებია, ხოლო 2.9 პროცენტი - მისასავლელი ლიანდაგები.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია რკინიგზის ლიანდაგების გაშლილი სიგრძის სტრუქტურა 2023 წლის ბოლოსათვის:

რკინიგზის ლიანდაგების გაშლილი სიგრძის სტრუქტურა 2023 წლის ბოლოსათვის



რკინიგზის ხაზების მთლიანი საექსპლუატაციო სიგრძე 2023 წლის ბოლოსათვის 1 576.5 კილომეტრს შეადგენდა, საიდანაც ელექტროფიცირებული იყო 98.4 პროცენტი. მთავარი ხაზის საექსპლუატაციო სიგრძე იყო 529.9 კილომეტრი, რომლის 44.7 პროცენტი ერთლიანდაგიანია, 55.3 პროცენტი კი - ორლიანდაგიანი. საქსპლუატაციო მთავარი ხაზი სრულადაა ელექტროფიცირებული.

[1] წყარო: სს „საქართველოს რკინიგზა“.

01.03.2024

2023 წელს საქართველოს რკინიგზის მიერ გადაყვანილია 2 283.3 ათასი მგზავრი, რაც 42.3 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. ამავე პერიოდში მგზავრთბრუნვის მოცულობამ 687.3 მლნ. მგზავრ-კილომეტრი შეადგინა, რაც 42.3 პროცენტით მეტია 2022 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

2023 წელს ადგილობრივი მიმოსვლის რეჟიმში გადაყვანილია 2 242.6 ათასი მგზავრი, რაც რკინიგზით გადაყვანილი მგზავრების მთლიანი რაოდენობის 98.2 პროცენტს შეადგენს და 44.1 პროცენტით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. ამასთან, საერთაშორისო მიმოსვლის რეჟიმში გადაყვანილია 40.7 ათასი მგზავრი, რაც 15.8 პროცენტით ნაკლებია 2022 წლის მაჩვენებელზე. საერთაშორისო მიმოსვლის რეჟიმში გადაყვანილი მგზავრების 67.5 პროცენტი შემოვიდა სომხეთიდან, ხოლო სომხეთის მიმართულებით გავიდა 32.5 პროცენტი (2023 წლის განმავლობაში სხვა მოსაზღვრე ქვეყნის მიმართულებით მგზავრთა გადაყვანა არ განხორციელებულა).

რკინიგზით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა,
(ათასი კაცი)



2023 წელს, 2022 წელთან შედარებით, საქართველოს რკინიგზით გადატანილია 8.2 პროცენტით ნაკლები, სულ 13.6 მლნ. ტონა ტვირთი. აღნიშნული მოცულობის 12.0 პროცენტი მოდის ადგილობრივ გადაზიდვაზე, 31.1 პროცენტი - საერთაშორისო გადაზიდვაზე (არ მოიცავს ტრანზიტს), ხოლო 56.9 პროცენტი - ტრანზიტზე.

რკინიგზით გადაზიდული ტვირთის წონა ტრანსპორტირების ტიპის მიხედვით,
(ათასი ტონა)



2023 წელს საერთაშორისო გადაზიდვის რეჟიმში რკინიგზით გადატანილი ტვირთის ჯამური მოცულობის 27.4 პროცენტი მოდის ქვეყნიდან გატანილ ტვირთზე, 72.6 პროცენტი კი - ქვეყანაში შემოტანილზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საერთაშორისო გადაზიდვების რეჟიმში რკინიგზით გადატანილი ტვირთის სტრუქტურა 2019-2023 წლებში:

საერთაშორისო გადაზიდვების რეჟიმში რკინიგზით გადატანილი ტვირთის სტრუქტურა,
(ათასი ტონა)



2023 წელს რკინიგზით შემოტანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის 47.4 პროცენტის გამომგზავნ ქვეყანას რუსეთის ფედერაცია წარმოადგენდა, 26.5 პროცენტის გამომგზავნს - აზერბაიჯანი, 3.4 პროცენტისას - თურქმენეთი, 3.2 პროცენტისას - რუმინეთი, 2.8 პროცენტისას - ბულგარეთი, 2.3 პროცენტისას - თურქეთი, 1.3 პროცენტისას - ბელარუსი, 1.2 პროცენტი კი გამოგზავნილი იყო ჩინეთის[2] მიერ.

2023 წელს რკინიგზით გატანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის 12.0 პროცენტის დანიშნულების ქვეყანას ყაზახეთი წარმოადგენდა, 10.8 პროცენტის დანიშნულების ქვეყანა იყო სომხეთი, 9.5 პროცენტის დანიშნულების ქვეყანა იყო რუსეთის ფედერაცია, ხოლო 4.5 პროცენტისა - აზერბაიჯანი.

2023 წელს ტრანზიტით გადატანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის განაწილება დანიშნულების ქვეყანის მიხედვით შემდეგნაირი იყო: 11.3 პროცენტი - თურქეთი, 8.8 პროცენტი - ნიდერლანდები, 6.2 პროცენტი - იტალია, 5.2 პროცენტი - ჩინეთი, დანარჩენი კი სხვა ქვეყნებზე მოდიოდა. ამავე პერიოდში, ტრანზიტით გადატანილი ტვირთის 6.1 პროცენტის გამომგზავნ ქვეყანას ბრაზილია წარმოადგენდა, 5.7 პროცენტისას - ყაზახეთი, 2.4 პროცენტისას - ჩინეთი, 2.0 პროცენტისას - თურქეთი, ხოლო 1.7 პროცენტის გამომგზავნი იყო აშშ.

[2] მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის მიზნიდან გამომდინარე, ცალკეული ქვეყნიდან/ქვეყანაში გადატანილი ტვირთის მოცულობის მაჩვენებლები არ არის მითითებული.

საანგარიშო პერიოდში, რკინიგზით გადატანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის 28.9 პროცენტი მოდიოდა ლითონის მადანსა და სამთომოპოვებითი მრეწველობის სხვა ნედლეულზე, 28.5 პროცენტი - ქვანახშირის, ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირის სასაქონლო ჯგუფზე, ხოლო 12.7 პროცენტი - საკვებ პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე.

2023 წელს სასაქონლო ჯგუფების მიხედვით განაწილება განსხვავებული იყო ადგილობრივი გადაზიდვების შემთხვევაში და 65.5 პროცენტი ლითონის მადანსა და სამთომოპოვებითი მრეწველობის სხვა ნედლეულზე მოდიოდა, 11.0 პროცენტი - ქვანახშირის, ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირის სასაქონლო ჯგუფზე, ხოლო 10.2 პროცენტი - სხვა არამეტალურ მინერალურ პროდუქტებზე.

რაც შეეხება საერთაშორისო გადაზიდვებს, საანგარიშო პერიოდში რკინიგზის საშუალებით ძირითადად შემოტანილია ქვანახშირი, ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი (44.3 პროცენტი), სხვა არამეტალური მინერალური პროდუქტები (23.3 პროცენტი) და ლითონის მადანი და სხვა სამთო და კარიერული პროდუქტები (8.3 პროცენტი); ხოლო გატანილია ლითონის მადანი და სამთომოპოვებითი მრეწველობის სხვა ნედლეული (49.2 პროცენტი), საკვები პროდუქტები, სასმელები და თამბაქო (23.0 პროცენტი), სხვადასხვა დასახელების ლითონის ნაწარმი (10.8 პროცენტი) და სოფლის მეურნეობის პროდუქტები (4.8 პროცენტი).

2023 წელს ტრანზიტული ტვირთის მთლიანი მოცულობის 73.4 პროცენტი სამ სასაქონლო ჯგუფზე მოდიოდა, კერძოდ: ქვანახშირი, ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი (30.0 პროცენტი), ლითონის მადანი და სამთომოპოვებითი მრეწველობის სხვა ნედლეული (26.3 პროცენტი) და საკვები პროდუქტები, სასმელები და თამბაქო (17.1 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საქართველოში რკინიგზით გადატანილი ტვირთების სტრუქტურა 2023 წელს:

რკინიგზით გადაზიდვების განაწილება სასაქონლო ჯგუფების მიხედვით



საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge